



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

„ჰიზრიდული ომი“ და რუსეთის მიერ წარმოებული  
„თანამედროვე ომი“

ნიკოლოზ ქავთარაძე

201

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ნიკოლოზ ქავთარაძე**

**„ჰიბრიდული ომი“ და რუსეთის მიერ წარმოებული  
„თანამედროვე ომი“**

**201**

**2023**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო  
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2023 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

„ომის ხელოვნების უზენაესი გამოვლინება  
მტრის ბრძოლის გარეშე დამორჩილებაა“.  
სუნ-ძი

21-ე საუკუნე გამოიხილება საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევართა, სამხედრო სტრატეგთა, ჟურნალისტთა, პოლიტიკოსთა, ახასამთავრობო ორგანიზაციათა და უბაძლო მოქალაქეთა ფართო დისკუსიით „ჰიბრიდული საფრთხეებისა“ და „ჰიბრიდული ომის“ შესახებ. ამ საკითხებს მსოფლიო მასშტაბით ათასობით ნაშრომი, ანალიზი თუ გადაცემა მიეძღვნა.

წინამდებარე პუბლიკაციაში შევეცდებით მკითხველის ინფორმირებას „ჰიბრიდული ომის“ თეორიის წახმოობისა და განვითარების შესახებ მეორე ნაწილში ამ თეორიას ხუსეთის ფედერაციის მიერ წახმოობულ „თანამედროვე ომთან“ შევადარებთ და ამით შევექმნით საფუძველს, რომ დაინტეგრირებულმა პიხებმა დამოუკიდებლად გამოიგონონ დასკვნები.

### **ჰიბრიდული ომი**

ტეხინი გადმოსცემს 21-ე საუკუნის ომის წარმოების კომპლექსურ ხასიათს, რომელიც გულისხმობს მხავადი აქტოის ჩახთურობას და ბუნდოვანს ხდის ზღვახს ომსა და მშვიდობას შოხის (Wither 2019).

„ჰიბრიდული ომის“ კონცეფციის ფუძემდებლად ფხენსის ჰოფმანი მიიჩნევა, ხომეღმაც ეს კონცეფცია 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული სხვადასხვა ავტორის ნაშრომებსა და თეორიებზე დაყრდნობით შეიმუშავა. თავად ტერმინი პირველად გამოიყენა რობერტ უოკერმა 1998 წელს გამოქვეყნებულ თავის სამაგისტრო ნაშრომში “Spec Fi: The US Marine Corps and Special Operations”.

ჰოფმანის განმარტებით, „ჰიბრიდული ომები მოიცავს სხვადასხვა ტიპის ომის (warfare) სახეობას. მათ შორის, კონვენციურ შესაძლებლობებს, არარეგულარულ ტაქტიკასა და ფორმაციებს, ტერორისტულ აქტებს, რომლებიც ვლინდება ცალკეულ ძალადობრივ ქმედებებში და დანაშაულებრივი გზით გამოწვეულ არეულობას<sup>1</sup>... ეს მრავალნახნაგოვანი ქმედებები შეიძლება აწარმოოს როგორც სახელმწიფო, ისე მრავალი ტიპის არასახელმწიფო აქტორმა<sup>2</sup>... მთავარია მიღწეულ იქნეს ოპერატიული და ტაქტიკური კოორდინაცია ბრძოლის ძირითად ველზე, სინერგიული ეფექტის მისაღებად“.

ჰოფმანი არ ამტკიცებს, რომ კონვენციური და არაკონვენციური კომპონენტების შერწყმა რაიმე სიახლეა. იგი განმარტავს, რომ ჰიბრიდული ომის პირობებში ეს კომპონენტები ბრძოლის ერთსა და იმავე ველზე ერწყმის ერთმანეთს მაშინ, როცა სხვა ტიპის ომებში ეს კომპონენტები სხვადასხვა საბრძოლო თეატრსა და განსხვავებულ ფორმატებში გამოიყენება (Hoffman 2007).

ჰოფმანის განმარტებით, „ჰიბრიდული ომის“ მიზანი, დაითრგუნოს გადაწყვეტილების მიმღებთა პოლიტიკური ნება, გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ეს სხვა ტიპის ომების თეორიების განხილვისას არის აღწერილი.

2009 წელს დაახლოებით იმავეს ამტკიცებდა კილკულენი. იგი აღნიშნავდა, რომ ჰიბრიდული ომი არის ფენომენი, რომელიც აერთიანებს სამხედრო და არასამხედრო ქმედებებს, რომლებსაც იყენებენ სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები, რათა მოახდინონ გავლენა შიდა ან/და საერთაშორისო ასპარეზზე, პირდაპირი ან არაპირდაპირი ძალადობის გამოყენებით ან მის გარეშე (Kilcullen 2009), თუმცა ჰოფმანის მიდგომისგან განსხვავებით, ეს განმარტება უფრო სტრატეგიულ დონეს ეხება.

განსაკუთრებული ინტერესი „ჰიბრიდულმა ომმა“ მიიპყრო 2014 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციამ განახორციელა ყირიმის უკანონო ანექსია და სამხედრო ოპერაციები უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში. ტერმინი რეგულარულად გვხვდება ყველგან – საგაზეთო სტატიებიდან დაწყებული ოფიციალური დოკუმენტებით დამთავრებული (Cramers & Caliskan 2018). ნიშანდობლივია, რომ ასეთ პირობებში ამ ტერმინმა სახე იცვალა და ახალი ელემენტებიც შეიძინა.

თუ ჰოფმანი განმარტავდა, რომ მისი შემუშავებული თეორია ეხებოდა ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეს, უკანასკნელ დეკადაში „ჰიბრიდული ომი“ სტრატეგიულ დონეს გაუტოლდა და პოპულარობის ზენიტს მიაღწია. ამის გამო მის მიმართ კრიტიკაც გაიზარდა – „ჰიბრიდული ომის“ ბუნდოვანების გამო მისი გამოყენება შეიძლება, როგორც მოსახერხებელი სათაურისა ნებისმიერი ტიპის ომის აღსაწერად, რომლის ბუნება ჯერ კიდევ ბოლომდე არ გვესმის (Puyvelde 2015) ან მას შეუძლია „გააერთიანოს ყველაფერი, რასაც მოსკოვი აკეთებს ერთი სახელწოდების ქვეშ“ (Kofman & Rojansky 2015).

საერთაშორისო დონეზე ტერმინი პირველად გამოჩნდა ნატოს უელსის სამიტის დეკლარაციაში: „ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ნატო შეძლებს ეფექტურად გაუმკლავდეს ჰიბრიდული ომის საფრთხისგან წარმოქმნილ სპეციფიკურ გამოწვევებს, რა დროსაც ღია და ფარული სამხედრო, გასამხედროებული და სამოქალაქო ზომების ერთობლიობა იქნება გამოყენებული“ (NATO 2014).

ნატოს მსგავსად, ევროკავშირის დოკუმენტებშიც გაჩნდა ჰიბრიდული საფრთხეები, როგორც „ძალადობრივი და ძირგამომთხრელი საქმიანობა, განხორციელებული კონვენციური და არაკონვენციური მეთოდების ერთობლიობით (მაგ., დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური და ტექნოლოგიური), რომლებიც შეიძლება კოორდინირებულად გამოიყენონ სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორებმა კონკრეტული მიზნების მისაღწევად ისეთ პირობებში, რომ მისი დონე ოფიციალურად გამოცხადებული ომის ზღვარს ქვემოთ რჩება“ (Maas 2017). მიუხედავად იმისა, რომ ორივე განმარტება ჰოფმანისეულის მსგავსია, მათში უფრო მეტი აქცენტი კეთდება სტრატეგიის არასამხედრო ასპექტებზე, როგორიცაა დიპლომატია, ეკონომიკა და ტექნოლოგიები (Cramers & Caliskan 2018).

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ არ არსებობს „ჰიბრიდული ომის“ უნიკალური და ყოვლისმომცველი განმარტება.

*ახის თუ ახა თანამედროვე ხუსუდი ომი ჰიბრიდული?*

ომის წარმოების შესაბამისი მეთოდის შერჩევა და გამოყენება ემსახურება კონკრეტული მიზნის მიღწევას. ბევრი დისკუსიაა იმაზე, თუ რა არის რუსეთის გეოპოლიტიკური მიზანი, თუმცა, მოდი, აქედან ორი თვალსაზრისი გამოვყოთ: პირველი – პუტინი აყალიბებს გრძელვადიან სტრატეგიებს იმ მიზნით, რომ განწყობოს აშშ-ის კავშირი ევროპასთან, დაშალოს ევროკავშირი და ნატო; მეორე – პუტინი ძირითადად რეაგირებას ახდენს, საკითხებს ერთპიროვნულად წყვეტს და ცდილობს რუსეთის პოზიციის შენარჩუნებას საერთაშორისო ასპარეზზე (Nelson 2020).

რუსეთისთვის პრობლემა ისაა, რომ მას არ შეუძლია ღიად დაუპირისპირდეს თავის კონკურენტებს, გინდ პოლიტიკურ, გინდ სამხედრო განზომილებაში. რუსეთის ხელისუფლება გრძნობს, რომ მისი კონვენციური შესაძლებლობები ბევრად ჩამოუვარდება დასავლეთისას. რადგან რუსეთს არ შეუძლია სიმეტრიული „კონკურენცია“, ის არჩევს ასიმეტრიული გზებით მეტოქეთა დაზიანებას (Boulègue & Polyakova 2021).

ზემოხსენებულ ასიმეტრიულ მიდგომებს დასავლური საზოგადოების (მკვლევრები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები) დიდმა უმრავლესობამ „რუსული ჰიბრიდული ომი“ უწოდა, განსაკუთრებით, 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ. ამან ბევრს აფიქრებინა, რომ მოსკოვმა შექმნა ახალი სტრატეგია თავისი მიზნების მისაღწევად, სამხედრო თვალსაზრისით უპირატეს დასავლეთთან პირდაპირ კონფრონტაციაში შესვლის გარეშე.

გარდა ამისა, მოხდა პუტინის ზოგიერთი ადრინდელი გამოსვლის<sup>3</sup> ხელახლა გააზრება და ნაკლებად ცნობილ წყაროებში მანამდე არსებული სიგნალების ძიება. ერთ-ერთი იყო რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის 2013 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი (Monaghan 2015), რომელსაც მოგვიანებით „გერასიმოვის დოქტრინა“ ეწოდა (Galeotti 2014).

სანამ „გერასიმოვის დოქტრინის“ მიმოხილვაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ („Гибридная Война“) არ წარმოქმნილა რუსეთის ფედერაციაში. ოფიციალურ მოსკოვს არასოდეს გამოუყენებია ეს ტერმინი საკუთარი ქმედებების აღსაწერად. რუსულ ლიტერატურაში იგი უმეტესად გამოიყენება „დასავლეთის“ ქმედებების, მათ შორის, აშშ-ისა და ნატოს მიერ „რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ახალი თაობის ომის“ აღწერისთვის.

რუსი დისიდენტი ევგენი მესნერი იყო ერთ-ერთი იშვიათი და პირველი რუსი სამხედრო მოაზროვნე, რომელმაც ჰიბრიდული ელემენტები თავად ტერმინ „ჰიბრიდულის“ გამოყენების გარეშე ახსნა. ჯერ კიდევ 1931 წელს მან განმარტა, რომ „...ომი შედგება არა მხოლოდ ღია ომის ტრადიციული ელემენტებისგან, არამედ სამოქალაქო ომის ელემენტებისგან: დივერსიები, გაფიცვები, არეულობა, აჯანყებები [რომლებიც] შეარყევენ სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას,

რაც ძალიან მნიშვნელოვანია მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში... [და რომლითაც] მტერი შეაღწევს ხალხის გულებში...“ (Messener 2005).

### **„გერასიმოვის დოქტრინა“**

„გერასიმოვის დოქტრინა“, როგორც ტერმინი, პირველად გამოიყენა მწერალმა მარკ გალეოტიმ 2014 წელს (Galeotti 2014), რაც შემდეგ ფართოდ აიტაცა დასავლურმა მედიამ, თითქოსდა ის იყო „თანამედროვე რუსული ჰიბრიდული ომის სახელმძღვანელო“. გალეოტიმ მოგვიანებით სინანული გამოთქვა ამ ტერმინის შექმნასთან დაკავშირებით<sup>4</sup>.

გალეოტის შეფასებით, გერასიმოვი საკუთარ ნაშრომში აღწერდა ომის ახალ, დასავლურ ფორმას, როდესაც ლაპარაკობდა ომსა და მშვიდობას შორის მკაფიო საზღვრების არარსებობაზე და არასამხედრო საშუალებების როლის ზრდაზე პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად (Galeotti 2020). კერძოდ, გერასიმოვი ამტკიცებდა, რომ ომის წესები შეიცვალა „ფერადი რევოლუციების“ და „არაბული გაზაფხულის“ გამო. მან ახალი თაობის ომი უწოდა სამხედრო მოქმედებებთან ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური აქტივობების კომბინაციას. ამ მეთოდით შესაძლებელი გახდა ისეთი მიზნების მიღწევა, რაც აქამდე მხოლოდ პირდაპირი სამხედრო მოქმედებებით იყო შესაძლებელი, ახლა კი ეს მათ გარეშე ან, მინიმუმ, მათ გამოყენებამდე არის შესაძლებელი (Murphy 2016). „ირიბი და ასიმეტრიული საშუალებების“ კონცეფცია, რომელიც დასავლეთმა განმარტა, როგორც „ჰიბრიდული ომი“, შესაძლოა გერასიმოვის ნაშრომის ყველაზე არასწორი ინტერპრეტაციაა (Bartles 2016).

გერასიმოვისეული ჰიბრიდული ომის თაობაზე დისკუსიამ შეიძლება რუსეთის ქვეყნის არასწორი შეფასება გამოიწვიოს. განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ არ არსებობს რუსულ სამხედრო თეორიაში და ის სრულყოფილად ვერ აღწერს თანამედროვე რუსულ ომს. ამავე დროს, რუსეთის მხრიდან წარმოებული „აქტიური ღონისძიებები“, რაც საბჭოთა კავშირის დროინდელი მეთოდების გაგრძელებაა, გვაძლევს საშუალებას ავხსნათ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა საშუალება სამიზნე ქვეყნის წინააღმდეგ (Duncan 2017). ეს ახალი ფენომენი ნამდვილად არ არის. თუმცა აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთი არასამხედრო კომპონენტებს განიხილავს ომის თავიდან აცილების საშუალებებად, ხოლო რუსეთი კი – ომის წარმოების (Bartles 2016).

ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ „გერასიმოვის დოქტრინა“ ასახავს წინასწარ შემუშავებულ გეგმას, რომელიც რუსეთმა გამოიყენა ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში. ისინი აღნიშნავენ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, როგორ შეიქმნა თეორია, მნიშვნელოვანია, თუ როგორ გაიზარა და გამოიყენა

რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ ის (Bartles 2016). ზოგიერთ ისტორიკოსს უბრალოდ არ სჯერა, რომ რუსეთის სამხედრო სტრატეგია გერასიმოვის ნაშრომის გამოქვეყნებიდან 1 წელიწადში სრულად შეიცვალა და „ჰიბრიდული ომის ელემენტებით ბრწყინვალე ოპერაცია ჩატარდა უკრაინაში“. უფრო მეტიც, მაიკლ კოფმანი ფიქრობს, რომ 2014 წელს ყირიმის ანექსია იყო ჩვეულებრივი ფარული სამხედრო ოპერაცია სპეციალური დანიშნულების ძალების გამოყენებით, რომელთაც არც უნდა ჰქონოდათ განმასხვავებელი ნიშნები (Kofman 2016).

### **„რუსული ჰიბრიდული ომი“**

ყირიმის ანექსიის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში ფრენსის ჰოფმანიც კი საკუთარი თეორიის წინააღმდეგობრიობაზე საუბრობს. ერთი მხრივ, მისთვის ნაწილობრივ მისაღებია ტერმინ „ჰიბრიდული ომის“ გამოყენება რუსეთის ქმედებებთან მიმართებით, მაგალითად, 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის ან რუსეთის მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში 2014 წელს გამოყენებულ მეთოდებთან დაკავშირებით. მეორე მხრივ კი, იგი ამბობს, რომ „ჰიბრიდული საფრთხის განმარტება... ვერ ახერხებს არაძალადობრივი მეთოდების იდენტიფიცირებას. ამრიგად, ის არ ეხება ისეთ საშუალებებს, როგორცაა ეკონომიკური და ფინანსური აქტივობები, ძირგამომთხრელი პოლიტიკური აქტები, არასამთავრობო ორგანიზაციების ფარული გამოყენება, საინფორმაციო ოპერაციები ყალბი ვებგვერდების და საგაზეთო სტატიების გამოყენებით“ (Hoffman 2014).

რთულია „ჰიბრიდული ომის“ რომელიმე განსაზღვრების სრულყოფილად მორგება რუსეთის მიერ წარმოებულ თანამედროვე ომზე, თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთმა დასავლურ წრეებში ათწლეულების განმავლობაში განხილული მეთოდოლოგიის სარკისებური ასახვა მოახდინა.

მნიშვნელოვანია არ გამოვვრჩეს ის ფაქტი, რომ ჰიბრიდულად მიჩნეულ მრავალ ინსტრუმენტს და მეთოდოლოგიას რუსები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყენებდნენ, მაგალითად: ფარული ღონისძიებები – ტიპური საერთაშორისო აქტივობების ფარული მხარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო სფეროებში, რაზეც საბჭოთა კავშირი არ იღებდა პასუხისმგებლობას; „აქტიური ღონისძიებები“ – კგბ-ის ცნობილი მეთოდი, რომელიც მოიცავს სპეცსამსახურების ისეთ მოქმედებებს, როგორცაა პროპაგანდა, დეზინფორმაცია, კოლაბორაციონისტების მხარდაჭერა, გავლენის აგენტების შექმნა; შეცდომაში შეყვანა – პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგია, რომელიც ნიღბავს ნამდვილ მიზნებს; „სამხედრო ძალის მოპატიჟება“, მაგალითად, როგორც ეს მოხდა 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში; საინფორმაციო ოპერაციები და მრავალი სხვა. როდესაც თანამედროვე ლიტერატურა „რუსული ჰიბრიდული ომის“ ასპექტებს აღწერს, ბუნებრივად გვახსენდება საბჭოთა რეჟიმის აქტიური ღონისძიებები (DeBenedictis 2022).



ნებისმიერი თეორია ასახავს იმ ინოვაციებს, რომლებიც წარმოიქმნება ომის ბუნების სუბიექტურ მახასიათებლებში. როგორც კლაუზევიცმა თავის დროზე აღწერა, ადამიანის განვითარებასთან ერთად იცვლება ბრძოლის წარმოების მეთოდები. ხმლები შეიცვალა თოფებით, ტყვიამფრქვევებით, ტანკებით, ისევე, როგორც დადგა ფეისბუქის, ტვიტერის, მობილური ტელეფონების, პლანშეტების და დრონების – „იარაღის“ ახალი ფორმების გამოყენების დრო. საბოლოო ჯამში, კონფლიქტის არსი უცვლელი რჩება – წინააღმდეგობის განწვევის ნების გატეხვა.

არაკონვენციური საშუალებების გამოყენებით მტრის „ტერიტორიაზე“ ღრმად შეღწევა მოსახლეობის ცნობიერთან მიახლოებისთვის (უმეტეს შემთხვევაში – ფიზიკურად იქ ყოფნის გარეშე), მიზნად ისახავს შეიქმნას საკმარისი ზეგავლენა წინააღმდეგობის განწვევის პოლიტიკური ნების დასათრგუნად. ამ კონტექსტში ტერმინი „მტერი“ შეიძლება გულისხმობდეს სახელმწიფოს, მთავრობას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მოსახლეობას, სამხედროებს. რუსეთის ფედერაციამ საკუთარ გამოცდილებას დაამატა საბჭოთა „მემკვიდრეობით“ მიღებული ცოდნა სპეციალური და საიდუმლო ოპერაციების წარმოების თაობაზე, რამაც მისცა საშუალება ემოქმედა დაფარულად, თავის ქმედებებზე საერთაშორისო რეაქციების თავიდან აცილების მიზნით (Cantwell 2017).

რუსული თანამედროვე ომის „ჰიბრიდულ ომად“ მოხსენიებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ჩვენ ვერ უგულებელვყოფთ იმ უზარმაზარ გავლენას, რომელიც მან მთელ მსოფლიოში მოიპოვა.

რუსულ აქტივობებთან მიმართებით ტერმინებმა „ჰიბრიდული ომი/ საფრთხეები“ საკუთარი ადგილი დაიკავა საერთაშორისო დონის სტრატეგიულ დოკუმენტებშიც. ნატოს 2021 წლის ბრიუსელის სამიტის კომუნიკესა (NATO 2021) და ნატოს 2022 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში (NATO 2022) პირდაპირი ჩამონათვალი გაკეთდა ზემოხსენებული ქმედებების აღწერისთვის. ჩამონათვალის დეტალიზაცია, სავარაუდოდ, მიზნად ისახავს „ჰიბრიდული ომის“ მკაფიო განსაზღვრების არარსებობით გამოწვეული შესაძლო ინტერპრეტაციის თავიდან აცილებას.

ზოგადად, რუსული ომის ელემენტების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ტერმინ „რუსული ჰიბრიდული ომის“ გამოყენება ტექნიკურად შეიძლება შესაფერისადაც მივიჩნიოთ, რადგან, მაგალითად, სიტყვა „ჰიბრიდი“ ოქსფორდის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ორი ან მეტი განსხვავებული ნივთის შერწყმის შედეგად მიღებული პროდუქტი“ (Oxford Dictionary 2022). მიუხედავად ტერმინოლოგიისა, რუსეთი ახორციელებს თავის ეროვნულ ინტერესებს საკუთარ საზღვრებს მიღმა, ძალაუფლებისა და გავლენის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, სახელმწიფოსა და საზოგადოების სრული ჩართულობით.

## „რუსული ჰიბრიდული ომის“ მახასიათებლები“

„ჰიბრიდული ომი“ მნიშვნელოვნად ამცირებს ან გამორიცხავს სამხედრო ძალის გამოყენების საჭიროებას. რუსეთი კარგად ხვდება, რომ პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციაში ვერ შევა „კოლექტიურ დასავლეთთან“ ან რომელიმე „საპრონონე“ ქვეყანასთან და ამ მეთოდით ცდილობს თავიდან აიცილოს არასასურველი მატერიალური დანახარჯები ან არამატერიალური საფასური – ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში (Chivvis 2017). თუმცა, როგორც საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე ვხედავთ, ჰიბრიდული მეთოდები არ გამორიცხავს სამხედრო ძალის გამოყენებას, თუ ძირითადი მიზანი, და ამ შემთხვევაში დასავლეთთან ინტეგრაციის ჩაშლა, არ არის მიღწეული.

„ჰიბრიდული ომი“ მიმდინარეობს „კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ“ – ერთი მხრივ, ის თავიდან იცილებს მძაფრ საერთაშორისო რეაქციას, ხოლო, მეორე მხრივ, ის შლის საზღვრებს მშვიდობასა და ომს შორის, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად მოხდეს მოქმედებების გადატანა ან ერთი ან მეორე მიმართულებით და, შესაბამისად, ზრდის სამიზნე სახელმწიფოზე ზეწოლის ხარისხს. რთულია იმ „წითელი ხაზების“ განსაზღვრა, რომლებიც საპასუხო რეაქციას გამოიწვევს (Bilal 2021). რუსეთი ცდილობს ფარულად გამოიყენოს დიპლომატიური, საინფორმაციო, სამხედრო და ეკონომიკური საშუალებების ერთობლიობა ისეთი სახით, რომ არ მოახდინოს ნატოს შეთანხმებული რეაქციის პროვოცირება (Fox 2021).

რუსული „ჰიბრიდული ომი“ ძირითადად მიმართულია მოსახლეობაზე – საინფორმაციო ოპერაციების, მარიონეტებისა და სხვა გავლენის ოპერაციების გამოყენების მიზანია მოქალაქეებზე ზემოქმედება უკვე არსებული პოლიტიკური და სოციალური სისტემების გამოყენებით.

*ხუსუდი „ჰიბრიდული ომის“ მიზნებად შეიძლება გამოვყოთ:*

- ტერიტორიის კონტროლი კონვენციური ძალის გამოყენების გარეშე;
- სამხედრო ოპერაციის განხორციელებისთვის საბაზის შექმნა. მაგალითად, რუსეთის ფედერაცია ქმნის ნარატივს, თითქოს სამიზნე სახელმწიფო ჩაგრავს ეროვნულ უმცირესობებს, შემდეგ კი იყენებს ამ ნარატივს რუსულენოვანი ან/და სხვა უმცირესობის „დაცვის“ მიზნით სამხედრო ინტერვენციის განსახორციელებლად. ასეთ მოქმედებას, თავის მხრივ, საინფორმაციო და სპეციალური ოპერაციების მხარდაჭერა აქვს;
- გავლენის მოხდენა სამიზნე ქვეყნების პოლიტიკაზე, რათა ის შეიცვალოს კრემლის ინტერესების შესაბამისად და მის სამსახურში ჩადგეს (Chivvis 2017).

რაც შეეხება *ხუსუდი „ჰიბრიდული ომის“ ძირითად ელემენტებს*, რობერტ სილი თავის ნაშრომში ახდენს რუსული თანამედროვე ომის, სულ მცირე, 50 ინსტრუმენტის კლასიფიცირებას. ეს ინსტრუმენტები კოორდინირებულია ერთიანი სახელმწიფო მიდგომით და დაჯგუფებულია სხვადასხვა სფეროს შესაბამისად:

პოლიტიკა, კულტურა და მმართველობა ეკონომიკა და ენერჯეტიკა, სამხედრო ძალა, დიპლომატია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, საინფორმაციო ომი.

სილი ყურადღებას ამახვილებს უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან „მოკლე“ და სწრაფი კავშირის მნიშვნელობაზე, რათა საერთო სახელმწიფოებრივი მიდგომა უფრო ეფექტიანი იყოს (Seely 2018).



ვფიქრობთ, უპრიანია რამდენიმე ინსტრუმენტი უფრო დეტალურად განვიხილოთ:

- **საინფორმაციო ოპერაციები:** ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჰიბრიდული აქტივობები საინფორმაციო სფეროში ცალკე, დამოუკიდებელი განზომილებაა, მისი ყოვლისმომცველი ხასიათის, მრავალფეროვნებისა და გავლენის გამო. საინფორმაციო სფეროს „მონინააღმდეგე იყენებს, როგორც საკუთარი მტრული აქტივობების დაფარვის საშუალებას ან როგორც იარაღს ან სამიზნეს, ან ოპერაციების წარმოების განზომილებას“ (Giles 2016) და მოიცავს ისეთ მეთოდებს, როგორცაა დეზინფორმაცია, პროპაგანდა, ფსიქოლოგიური ოპერაციები, ყალბი ამბების შექმნა, სოციალური მედიით და ფოტო-ვიდეო მასალით მანიპულირება და მრავალი სხვა. ასეთი ოპერაციების შედეგი ბუნდოვანების შექმნა და ობიექტურ ქეშმარიტებაში ეჭვის შეტანაა, ხოლო მიზანი – პოლიტიკაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენა, რომელიც სასარგებლო იქნება რუსეთის ინტერესებისთვის (Paul & Matthews 2016);
- **კიბეროპერაციები:** ანალოგიურად, კიბეროპერაციები განიხილება, როგორც ომის წარმოების დამოუკიდებელი განზომილება, იმავე მახასიათებლების გამო, რაც საინფორმაციო ომს აქვს. თანამედროვე რუსული ომის გადმოსახედიდან

კიბეროპერაციები საინფორმაციო ომის ნაწილია (Giles 2016) და ორი ძირითადი მიმართულებით გამოიყენება – პირდაპირი შეტევა საინფორმაციო სისტემებზე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებზე ზეგავლენის მოსახდენად და საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება;

- **მაიხონგული ან ე.წ. „პიქსი“ ძალების გამოყენება:** სეპარატისტული ძალების, კერძო სამხედრო კომპანიების გამოყენება, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებენ, კრემლის მითითებების შესაბამისად, ან რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ატარებენ ოპერაციებს (Worcester 2014).

- **ენეგეტიკული და ეკონომიკური ბეჩკეები:** რუსეთი გავლენას ახდენს სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკაზე, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ეკონომიკური ბეჩკეების გამოყენებით. 2022 წლამდე კრემლს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ენერგეტიკულად რუსეთზე დამოკიდებულ ევროპულ ქვეყნებზე. „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ იყო რუსეთის მცდელობის კარგი მაგალითი, რომ კიდევ უფრო გაეზარდა საკუთარი გავლენა ახალი მილსადენებისა და სხვა ინფრასტრუქტურის დაფინანსებითა და მათში წილის მოპოვებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსული კომპანიების ეკონომიკური აქტივობები საზღვარგარეთ კანონიერია, რუსეთის მთავრობის სრული კონტროლი ამ სფეროში უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ასეთ ქმედებებს შეიძლება სერიოზული ზიანი მოჰყვეს თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის. ამავე კატეგორიაში გადის ენერგომატარებლების ფასებით მანიპულირება, სავაჭრო ემბარგოები (მოლდოვა, უკრაინა, საქართველო, ბელარუსი) და სხვა.

- **საიდუმლო ოპერაციები:** რუსეთი აქტიურად იყენებს სადაზვერვო საქმიანობას, ასევე, მოქრთამვას, შანტაჟს და სხვა საშუალებებს, რათა ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე საკუთარი მიზნების სასარგებლოდ.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, რუსეთი საკუთარ სამეზობლოში იყენებს ისეთ ჰიბრიდულ ელემენტებს, როგორიცაა: ტერორიზმი, ლიკვიდაცია, „პასპორტიზაცია“, ისტორიის გადანერა, „ბორდერიზაცია“, დივერსია, საბოტაჟი და კიდევ მრავალი სხვა.

### **„რუსული ჰიბრიდული ომის» მაგალითები“**

რუსეთი სამეზობლოს თავისი საბჭოთა მემკვიდრეობის ნაწილად მიიჩნევს, შესაბამისად, საკუთარი ეროვნული ინტერესების გასატარებლად ის ყველა მის ხელთ არსებულ ჰიბრიდულ ინსტრუმენტს იყენებს. ამის მკაფიო დადასტურებაა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში წარმოებული კრემლის რიტორიკა, ფარული ქმედებები, სრულმასშტაბიანი ომი საქართველოს წინააღმდეგ, ყირიმის ანექსია და ბოლოს, 2022 წელს, არაპროვოცირებული სამხედრო შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე.

ამასთან, ნატოს წევრობა არ წარმოადგენს გარანტიას რუსული ჰიბრიდული ომის ელემენტებისგან დასაცავად, მით უფრო ისეთ პირობებში, როდესაც რუსეთი ცდილობს არ გადაკვეთოს „წითელი ხაზები“ და არ გამოიწვიოს მე-5 მუხლის ამოქმედება.

საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის ჰიბრიდული აქტივობები 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შეჭრამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. 2003 წელს საქართველოში, ხოლო 2004 წელს უკრაინაში ე. წ. „ფერადი რევოლუციები“ რუსულმა რეჟიმმა მნიშვნელოვან საფრთხედ აღიქვა. სამეზობლოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის მიმართ შიში რუსეთმა საგარეო საფრთხედ გადათარგმნა, რაზეც გერასიმოვმა ვრცლად ილაპარაკა 2013 წელს თავის ცნობილ გამოსვლაში. კრემლმა გადაწყვიტა უფრო აქტიურად ემოქმედა საქართველოსა და უკრაინის დასავლური ინტეგრაციის შესაჩერებლად. ორივე სახელმწიფოს მიმართ რუსულმა რეჟიმმა გამოიყენა მთელი რიგი ჰიბრიდული ინსტრუმენტებისა, რომელთა ხასიათიც ძირითად შემთხვევაში ერთი და იგივე იყო, თუმცა განსხვავდებოდა გამოყენების არეალისა და გარემოებების მიხედვით.

▪ **ეკონომიკური ბეჭეკები.** 2005-2006 წლებში *ხუსუდმა ხეჟიმმა* საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საბაბით აკხადა ქაჩთუდი სოფლის მეურნეობის პხოლექის, ღვინის და მინეხაღუჩი წყლის იმპოზიტი ხუსეთის ფედეხაციაში. ასევე, ქვეყნებს შოხის 1993 წელს დადებული ხედშეკხულების დახლვევით ცადმხივად დაკება სასაზღვხო გამშვები პუნქტი (Livny, 2010) და აკხადა საგხანსპოხიგო კომუნიკაცია, მათ შოხის საჰაეხო, საზღვაო და საფოსტოც კი (Radiotavisupleba 2006). ეს ქმედებები მიმაჩთუდი იყო საქაჩთვედოს მოქადაქეთათვის მაქსიმადუჩი ეკონომიკუჩი ზიანის მისაყენებდად და მთავხოობის მიმაჩთ მათი უკმაყოფიდეების გამოსაწვევად.

2013 წელს რუსეთმა წამოიწყო სავაჭრო ომი უკრაინის წინააღმდეგ, რათა შეეჩერებინა ევროკავშირის ინსტიტუტებთან მისი ინტეგრაციის მისწრაფება. უკრაინიდან რუსეთში იმპორტს ემბარგო დაედო (Danilova 2013).

▪ **იძულებითი ეგპოზიცაცია.** მიგხაციის გამოყენება, *ხოგოხც* ჰიბიხილუდი ომის ინსტრუმენტისა, რუსეთმა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე 2016 წელს სირიიდან ევხოპისკვენ მასობიხივი მიგხაციისა და 2021 წელს ბედახუსის მიეხ ბადტიის ქვეყნებისა და პოდონეთის წინააღმდეგ წაჩმოებუდი „მიგხაციუდი ომის“ ხედშეწყობას მიჰყოფდა ხედს. 2006 წელს 2300 საქართველოს მოქალაქე იძულებით იქნა დეპორტირებული ხუსეთის ფედეხაციიდან, *ხასაც ოჩი* ადამიანის სიცოცხდეც შეეწიხა (Human Rights Watch 2007). სხვადასხვა შეფასებით, კრემლის რეჟიმმა უკრაინის ტერიტორიიდან 900 ათასიდან 1,6 მლნ უკრაინის მოქალაქის, მათ შორის 260 ათასი ბავშვის, დეპორტაცია განახორციელა რუსეთის ფედერაციაში 2014-2022 წლებში (US State Dep 2022).

ცნობისთვის, 2023 წლის 17 მარტს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით რფ-ის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებში პრეზიდენტის რწმუნებულის მარია ღვოვა-ბელოვას მიმართ გამოიცა დაკავების ორდერი (ICC 2023). მათ ბრალი

ედებათ უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციაში მოსახლეობის უკანონო დეპორტაციასა და გადასახლებაში, რაც ომის დანაშაულად ითვლება (ICC 2011).

▪ **ენეგეტიკული ბეჰავები.** ენეგეტიკები ხუსუდი ჰიბიდი ომის კლასიკური ინსტიტუტები. 2009 წელს ხუსეთის ძაღისხმევით მოხდა უკრაინის ენეგეტიკები სატანაზიგო ფუნქციის შესუსტება, ფასებზე შეუთანხმებლობის საბაბით, ხითაც შეიზღუდა ბუნებრივი აიხის მიწოდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მან ასევე დიდი ძაღისხმევა გასწია „ჩიდილოეთის ნაკადი 2“ გაზსადენის გაყვანისთვის, ხომელიც უკრაინის და სხვა მესამე ქვეყნების გვერდის ავლით პიხდაპიხ უკავშირდება გეჰმანიას და მიზნად ასევე ისახავდა უკრაინის გავლენის დასუსტებას ენეგეტიკების ტანაზიგზე (Zaremba & Solodky 2021). 2006 წელს რუსეთ-საქართველოს საზღვრის მიმდებარედ მოხდა გაზსადენის აფეთქება, ხამაც სეხიოზური ენეგეტიკული კიხიხის გამოიწვია საქართველოში. მომდევნო 2 წლის განმავლობაში საქართველოსთვის ხუსუდი გაზის საფასური 4-ჯეჰ გაიზაჰდა – 65-დან 230 დოღაჰამდე (Indans 2007). რუსული საოკუპაციო ხაზი ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქცევს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 1 კმ მონაკვეთს (Nazarenko 2015). რეგიონალური მიღსადენების მნიშვნელობა კიდეც უფრო გაიზარდა 2022 წლიდან, ერთი მხრივ, რუსეთის ენერგომატარებლებზე ევროპული ემბარგოსა და მისი სატრანაზიტო ფუნქციის შემცირების, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირისთვის მისაწოდებელი აზერბაიჯანული ენერგომატარებლების მოცულობის გაორმაგებისა (Azertac 2022) და საქართველოს გავლით ყაზახური ნავთობის ტრანაზიტზე მოთხოვნის გაზრდის გამო (Agenda.ge 2022). ესტონეთის წინააღმდეგ რუსეთის ენერგეტიკული ბერკეტი ღიად 90-იანი წლების დასაწყისში გამოიყენეს. თუმცა მალევე შეჩერდა, რადგან აღმოსავლეთ მეზობელი მალევე მიხვდა, რომ ამით ყველაზე მეტად რუსულენოვანი მოსახლეობა ზარალდებოდა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდამდე ენერგობერკეტი კვლავ აქტუალური რჩებოდა, რადგან 2022 წლისთვისაც კი ესტონეთის ენერგეტიკა ჯერ კიდეც 1/4-ით იყო დამოკიდებული რუსულ ბუნებრივ აირზე (Stoicescu 2021). ესტონეთის მთავრობის სტრატეგიული გადაწყვეტილებებით და წინასწარი მომზადების საფუძველზე ქვეყანამ მოახერხა რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტის უმტკივნეულოდ შეწყვეტა (Estonian Government 2022).

▪ **მონინაღმდეგეთა ლიკვიდაცია, დესტაბილიზაციის გამოწვევა და ტერორიზმი.** 2004 წლის სექტემბერში უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო, რომელიც იყო „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემოქმედი, მონამლეს ნივთიერება დიოქსინით. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდეც არ არის ბოლომდე გარკვეული დანაშაულის ჩამდენის ვინაობა, ცნობილია, რომ მონამვლის დადგენამდე იუშენკო ბოლოს იმ უკრაინელ პოლიტიკოსებთან ერთად იმყოფებოდა, რომელთა კავშირი რუსეთის ფედერაციასთან დადგენილია (Mendoza 2022). 2014 და 2015 წლებში ჩეხეთის რესპუბლიკასა და ბულგარეთში, სამხედრო აღჭურვილობის საწყობებში მოხდა აფეთქებები და ოფიციალურმა და დამოუკიდებელმა გამოძიებებმა დაადგინა



რუსეთის სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოს მონაწილეობა ამ ოპერაციებში. მიზანი იყო უკრაინელი სამხედროებისთვის სამხედრო აღჭურვილობის მიწოდების შეფერხება. ბულგარელი სამხედრო მენარმის მოწამვლაც ამ ოპერაციის ნაწილი იყო. „გრუს“ ჯგუფები ასევე ჩართული იყვნენ შემდეგ ოპერაციებში: ყირიმის ანექსია, მოლდავეთში პოლიტიკური და საზოგადოებრივი დესტაბილიზაციის მცდელობები, წარუმატებელი გადატრიალება მონტენეგროში, დესტაბილიზაციის მცდელობა ესპანეთში, კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დროს და სერგეი სკრიპალის ლიკვიდაციის მცდელობა დიდ ბრიტანეთში, ფე-ეს-ბეს მონაწილეობა ზელიმხან ხანგოშვილის ლიკვიდაციაში გერმანიაში (Bellingcat, 2021). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს გორში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს, რომელსაც 3 ქართველი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა, დაკავებულთა აღიარებითი ჩვენებით გრუს მიერ იყო დაგეგმილი (Peuch 2005).

▪ **ისტორიის გადანერა.** 2021 წლის ცნობილ წერილში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი პუტინი ამტკიცებს, რომ რუსი და უკრაინელი ხალხი საერთო ენით, საერთო რეგიონით, საერთო ისტორიითა და საცხოვრებელი არეალით არის ერთი ხალხი. ისტორიული ფაქტების ასეთი დამახინჯება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უკრაინის სახელმწიფოებრიობას რუსეთის სასარგებლოდ (President of Russia, 2021). მანამდე, 2019 წელს, პუტინმა გააყალბა საქართველოს ისტორია და აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ მე-19 საუკუნეში საქართველოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად მოიხსენია (Agenda.ge, 2019).

▪ **„პასპორტიზაცია“.** 2002 წელს რუსეთმა დაიწყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების „დარიცხვის“ პროცესი. 2006 წლისთვის ეთნიკურ უმცირესობათა 90%-ს ჰქონდა რუსეთის მოქალაქეობა. 2008 წლის სამხედრო ინტერვენციის ერთ-ერთ გამართლებად რუსეთმა რუსეთის მოქალაქეების დაცვა დაასახელა. იგივე მოხდა უკრაინაშიც, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების მოსახლეობასთან მიმართებითაც (Bescotti, Burkhardt, Rabinovych & Wittke 2022).

▪ **საინფორმაციო და კიბეროპერაციები.** როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთი საინფორმაციო და კიბეროპერაციებს ერთი განზომილების ნაწილად განიხილავს და შეთანხმებულად იყენებს. ეს ინსტრუმენტები გამოიყენება არა მარტო დამოუკიდებელი ჰიბრიდული ელემენტის სახით, არამედ სამხედრო ინტერვენციის მომზადების პროცესშიც. ამის თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის ქმედებები ყირიმის ანექსიის დროს და შემდგომი მოქმედებები უკრაინის აღმოსავლეთში, სადაც საინფორმაციო და კიბეროპერაციების ფართომასშტაბიანი გამოყენებით მართავს საინფორმაციო ველს, დაწყებული სიმფეროპოლის პარლამენტის დათხოვნით და რეფერენდუმის ჩატარებით და დამთავრებული საკუთარი ინტერესების გასატარებლად მოსახლეობის განწყობებზე მასირებული გავლენით. რუსეთის საინფორმაციო ომი სამიზნედ იღებს კომუნიკაციის განზომილებების ფიზიკურ, ლოგიკურ და სოციალურ მხარეებს კიბერ და არაკიბერ კომუნიკაციის

მრავალი სპექტრის გამოყენებით (NATO StratCom 2015). უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, რუსეთმა კიბეროპერაციების გამოყენება უკრაინის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო უკრაინის ოფიციალური პირების წინააღმდეგ ჯაშუშური პროგრამების გამოყენებით. 2015 წელს კიბეროპერაციები გააქტიურდა, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა როგორც სამხედრო სამიზნეების გამოვლენა, ისე ენერგონიფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოყვანა (Gotsiridze 2019). დადასტურებულ პიკს ამ ოპერაციებმა 2020-2021 წლებში მიაღწია – მაშინ უკრაინამ 685 ათასი კიბერთავდასხმა (Vision of Humanity 2022) განიცადა. რუსეთის პოლიტიკური ნარატივი, რომელიც განკუთვნილია როგორც შიდა, ისე საერთაშორისო აუდიტორიისთვის, ლაპარაკობს „რუსულ სამყაროზე“ (Русский мир), „რუსულ იდეალებზე“, „რუსულ სულზე“. იგი იზღუბა პირამიდის სახით პუტინისა და ლავროვის გამოსვლებით დაწყებული და საზოგადოებით, მედიითა და სოციალური სივრცით დამთავრებული. ის მიმართულია გავლენა მოახდინოს არა მარტო რუსი ეროვნების, არამედ რუსულად მოლაპარაკე ნებისმიერ პირზე და ბუნებრივად ვრცელდება მსოფლიო მასშტაბით (Levin-Jaitner 2015). ამ პირობებში სოციალურმა მედიამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ის არა მარტო პროპაგანდის, დეზინფორმაციის გავრცელების და სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ინსტრუმენტია, არამედ იაფი საშუალებაა როგორც გავლენის მოხდენის, ასევე „მონინააღმდეგე ქვეყნებში“ საზოგადოების მხრიდან რუსეთისათვის სასურველი ქმედებების გამოსაწვევად. ეს, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის და სპეცსამსახურების მხრიდან მართული და მხარდაჭერილი ბლოგერების და ტროლების მეშვეობით ხორციელდება (NATO StratCom 2015). 2014 წელს ოდესაში გაჩენილი ხანძრისას „პროუკრაინული“ ძალების მიერ რუსი ეროვნების უკრაინის მოქალაქეების დანვისა და ებრაელი ხალხის მიმართ მუქარის გაყალბებული ამბავი შექმნილი იყო რუსების მიერ ფეისბუქის ფეიკმომხმარებლის ანგარიშის მეშვეობით (Schreck 2014). მხოლოდ ერთ დღეში ამ პოსტს 5 ათასი გაზიარება ჰქონდა სხვადასხვა სოციალურ მედიაში და მალევე ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ და ბულგარულ ენებზე. ამას მოჰყვა რუსეთისა და უკრაინაში მისი მოკავშირეების გამომხაურება, თითქოს კიევი ნაცისტურ და ანტისემიტურ ძალებთან თანამშრომლობს.

რუსეთის მიერ წარმოებული კიბერ და საინფორმაციო ომი კიდევ უფრო ადრე დაიწყო საქართველოსა და ესტონეთში. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო ინტერვენციამდე რამდენიმე კვირით ადრე ჰაკერული ჯგუფების კიბერთავდასხმები მოხდა ქართულ საინფორმაციო სივრცეზე. 20 ივლისიდან მოყოლებული კიბერთავდასხმებმა მწყობრიდან გამოიყვანა ქართული სერვერები, ომის მიმდინარეობისას პრეზიდენტის, პარლამენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საინფორმაციო სააგენტოების, სატრანსპორტო კომპანიებისა და ბანკების ვებგვერდებიც კი პარალიზებული იყო (Markoff 2008). მიზანი იყო ობიექტური ინფორმაციის გავრცელების წყაროების ბლოკირება და საკუთარი პროპაგანდის გავრცელებისთვის გზის მოსუფთავება, რაც გამოიხატა, მაგალითად,



საქართველოს დადანაშაულებაში, რომ ომი მან დაიწყო, უმცირესობის გენოციდში და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის საბაბით რუსული სამხედრო ინტერვენციის აუცილებლობის გამართლებაში (Kurdadze & Kintsurashvili 2018). საქართველოს ინსტიტუტების წინააღმდეგ მასობრივი თავდასხმა 2019 წელსაც გამოვრდა, რამაც ათობით ოფიციალური და კომერციული ვებგვერდის ფუნქციონირების პარალიზება გამოიწვია (Burkadze 2019). როგორც უკვე აღინიშნა, ნატოს წევრობა რუსული საფრთხეებისგან თავდაცვის გარანტია არ არის. 2007 წლიდან მოყოლებული ესტონეთი არის ასობით ათასი კიბერთავდასხმის და საინფორმაციო კამპანიების მსხვერპლი. ძირითადი ტალღა დაიწყო ტალინის მერიის გადაწყვეტილების შემდეგ, გადაეტანა წითელი არმიის მონუმენტი ქალაქის ცენტრიდან სასაფლაოზე. მასობრივმა პრორუსულმა საინფორმაციო კამპანიამ ქალაქში ორდღიანი არეულობა გამოიწვია, რომელთა მონაწილეები ესტონეთის მთავრობის მხრიდან რუსულენოვანი მოსახლეობის „შევიწროებას“ აპროტესტებდნენ (Stoicescu 2021). ესტონეთის ინფრასტრუქტურაზე კიბერთავდასხმები არაერთ შემთხვევაში აღწევნენ დასახულ მიზანს. „ჰაკერები“ ახერხებდნენ ოფიციალური და კომერციული სტრუქტურების პარალიზებას, მაგალითად, ერთ-ერთი თავდასხმის დროს მოსახლეობას რამდენიმე დღით სრულად შეეზღუდა საბანკო ტრანზაქციების და ბანკომატების გამოყენების შესაძლებლობა. ასეთ ქმედებებს „კიბერთერორიზმიც“ კი უწოდეს, რომელიც მიმართულია არა მარტო კრიტიკულად მნიშვნელოვანი (მათ შორის ენერჯო, სატრანსპორტო და სამთავრობო) ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ, არამედ სამოქალაქო საზოგადოების დაშინებისა და მთავრობის მიმართ ნდობის შერყევისკენ (Mastalski 2021).

სამეზობლოში საკუთარი ნარატივების გასავრცელებლად რუსეთი აქტიურად იყენებს მართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სასულიერო პირებსა და პოლიტიკურ პარტიებსაც კი. არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით (მაგალითად, როგორცაა „ევრაზიული ინსტიტუტი“, „ევრაზიული კავშირი“) ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა, რომ მათი დამფუძნებლები ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე წრის წარმომადგენლები არიან. პრორუსული და ე.წ. „პროქართული“ პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს უბლოკო ან/და ნეიტრალურ პოზიციას, ასევე გამოიყენებიან საინფორმაციო ომში. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის უსარგებლობის პროპაგანდით ისინი ცდილობენ ამ პროცესის მიმართ მოსახლეობის ცინიკური დამოკიდებულება და ფრუსტრაცია გამოიწვიონ. სანაცვლოდ კი შესთავაზონ პრორუსული ან ნეიტრალური პოზიციის დადებითი მხარე (Tangiashvili 2016).

უდავოა, რომ რუსულენოვან ტელემედია საშუალებებს ასევე დიდი გავლენა აქვთ საქართველოს მოსახლეობაზე, განსაკუთრებით კი, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, 2016-2020 წლებში საქართველოს მოსახლეობის 69-77% ინფორმაციას ტელევიზიიდან იღებდა. მოსახლეობის 47% ასევე უყურებდა არაქართულენოვან ტელეარხებს, მათ შორის

პოპულარობით რუსული ტელეარხები გამოირჩეოდა (HTB, OPT, PTP, რუსეთის პირველი არხი) (Kokoshvili 2016). ესტონეთი, რომლის მოსახლეობის 27% ეთნიკურად რუსია, მნიშვნელოვნად დაზარალდა რუსული ტელეარხებიდან მომდინარე პროპაგანდით, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობდნენ. რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომის დაწყების შემდეგ ესტონეთმა დაბლოკა რუსული საინფორმაციო არხების და ტელეკომპანიების მაუწყებლობა საკუთარ ტერიტორიაზე (CNN 2022).

რუსეთი საინფორმაციო ომის ძირითადი მიზანია გააღვივოს ანტი-დასავლური ნარატივები, გააუფასუროს დასავლური ღირებულებები, როგორცაა: დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანების უფლებები და ა.შ. საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ კრემლი ქმნის და მხარს უჭერს კონსპირაციულ თეორიებს, ნახევრად სიმართლისა და გაყალბებული ინფორმაციის გავრცელებით მოსახლეობაში თესავს ეჭვს, შიშსა და მტრობას.

▪ **სეპაჩაგისტული და ე.წ. „პოქსი“ ძაღების მხაჩაჭყხა.** საქათველოსა და უკრაინაში ამ პიბიღუდი ინსტრუმენტების გამოყენებაში ბევრი მსგავსებაა. 2008 წლის ომის დაწყებამდე, აგვისტოს პიხვედ დღეებში, ცხინვალიდან მოხდა 4000 მოსახლის რუსეთის ფედერაციაში „ევაკუაცია“. იმავე დღეებში ცხინვალის რეგიონში ჩავიდა დიდი რაოდენობით რუსი ჟურნალისტი (Kaszuba 2019). სეპაჩაგისტული ძაღების მეშვეობით კემდის მიეჩ განხორციელებული ოპეჩაცია მიზნად ისახავდა ქაჩთუდი მხაჩის დადანაშაულებას ოსუჩი მოსახლეობის წინააღმდეგ „აგჩესიაში“. 2022 წლის 18 თებეჩვალს, ჩუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე ჩამდენიმე დღით ადრე, მსგავსი ოპეჩაცია ჩაგაჩდა ღონეცკისა (RBC 18 Feb, 2022) და ღუგანსკის (Mazurenko 18 Feb, 2022) ოდქებიდან აგვიღობიჩვი მოსახლეობის ხფ-ის ხოსტოვის ოდქში მასობიჩვი „ევაკუაციით“, რაშიც პირდაპირ იყვნენ ჩართული უკრაინის ოკუპირებული რეგიონების სეპარატისტული ძალები. 2014 წელს 27 თებერვალს ამოუცნობი ნიშნების მქონე სამხედრო ფორმირებებმა დაიკავეს ყირიმის უზენაესი საბჭოს და სიმფეროპოლის მინისტრთა საბჭოს შენობები. შემდგომში „პატარა მწვანე კაცუნებად“ წოდებული სამხედროების კონტროდქვეშ ყიჩიმის პაჩდამენგმა გადააყენა და შეცვალა პეჩემიეჩ-მინისტრი. მოგვიანებით ჩუსეთის პეჩედიენგმა აღიჩაჩა, ხომ „ყიჩიმის თავდაცვის ძაღების“ უკან ჩუსული შეიჩაჩალებუდი ფოჩმიჩებები იდგნენ, ხოლო 1 წდის შემდეგ პუტინმა განაცხადა, ხომ 2014 წდის 22 თებეჩვალს მან გასცა ბეჩანება „ყიჩიმის ჩუსეთისათვის დაბეჩუნების“ თაობაზე (DeBenedictis 2021).

▪ **სამხეჩხო ყოფნა და სამხეჩხო ძაღის დემონსტრიჩება.** 2008 წდის აგვისტოს ომამდე რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოდქში, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის მიმდებარედ, ჩაგაჩდა მასშტაბუჩი სამხეჩხო წეჩთნა “Kavkaz 2008”, რომელიც 2008 წდის 2 აგვისტოს დასრულდა. წვრთნაში მონაწილე სამხედრო დანაყოფები, რომელთა რაოდენობა 30-40 ათას სამხედრო მოსამსახურეს ითვლიდა, არ დაბრუნებინან დისლოკაციის ადგილებს. 7 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმია საქართველოში შემოიჭრა. მსგავსი ტიპის გარემოებები იყო 2022 წელსაც, რუსეთ-უკრაინის საზღვართან, როდესაც რუსეთის და ბელარუსის ერთობლივ წვრთნაში

“Союзная решимость - 2022” მონაწილე რუსულმა ქვედანაყოფებმა დაარღვიეს რეგიონში ყოფნის უკანასკნელი ვადა და, უფრო მეტიც, სამხედრო ძალების რაოდენობა 150 ათასამდე გაზარდეს (Kunchulia 2022). რუსეთის ფედერაციის დასავლეთ სამხედრო ოლქის მოდერნიზაცია და მასშტაბური წვრთნები ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის უშუალო სიახლოვეს ბელარუსის და კალინინგრადის ოლქის ჩართულობით ყოველთვის ქმნიდა სერიოზული ზეწოლის ბერკეტს ბალტიისპირეთის პატარა სახელმწიფოებზე. ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად არეალად განიხილება სუვალკის დერეფანი, ე.წ. „ნატოს აქილევსის ქუსლი“, რომლის დაკავებაც განყვეტს ნატოს სახმელეთო კომუნიკაციას ბალტიის ქვეყნებთან (Struye de Swielande, 2021). თუმცა, ფინეთის განწვრიანება ნატოში რადიკალურად შეცვლის აღნიშნულ მდგომარეობას. ზემოხსენებულმა ქმედებებმა უზარმაზარი ზეწოლა მოახდინეს არა მარტო საქართველოს, უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების მთავრობებსა და მოსახლეობაზე, არამედ ზოგადად ამ ქვეყნების დასავლელ პარტნიორებზე. გარდა ამისა, 90-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთი აქტიურად იყენებდა ე.წ. „სამშვიდობო ძალებს“ საკუთარ სამეზობლოში გავლენების მოსახდენად. „რუსულ სამშვიდობო ძალებზე“ მოდელირებული თავდასხმა გამოყენებულ იქნა ერთ-ერთ წინაპირობად 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული არმიის შემოსაჭრელად (Independence 2015). რუსული მხარის მიერ სამშვიდობო ოპერაციების წარმოება, როგორც საკუთარი საგარეო პოლიტიკის ნაწილი, რადიკალურად განსხვავდება გაეროს სამშვიდობო ოპერაციების კონცეფციისგან (Gilder 2022). რუსეთის ხელისუფლების მხრიდან 2022 წლის 21 თებერვალს უკრაინის სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ პუტინმა გასცა განკარგულება რეგიონში „მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით“ რუსული სამხედრო ძალების განთავსებასთან დაკავშირებით (Antonov & Osborn 2022), რაც უკრაინის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიან ინტერვენციაში გადაიზარდა.

## დასკვნა

რუსეთის გეოპოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა როგორც რეგიონული, ისე გლობალური ლიდერის სტატუსის აღდგენა. რადგან იგი პირდაპირ კონკურენციას ვერ უწევს დასავლეთს, ვერც სამხედრო და ვერც ეკონომიკური თვალსაზრისით, მოსკოვი ცდილობდა ისე ემოქმედა, რომ არ გამოეწვია საერთაშორისო რეაქცია.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ტერმინ „ჰიბრიდული ომის“ მკაფიო განმარტება, ის მაინც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში. ეს კიდეც უფრო ართულებს რუსეთის ქმედებების კატეგორიზაციას ამ თეორიის მიხედვით. არის თუ არა რუსეთის მიერ წარმოებული „თანამედროვე ომი“ „ჰიბრიდული“?! ამის თაობაზე კითხვები, ალბათ, იმიტომ ჩნდება, რომ რუსეთი, როგორც წესი, მხოლოდ „ჰიბრიდული ომით“ მისთვის სასურველ შედეგს ვერ აღწევს და კონვენციურ ომს მიმართავს.

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში 2008 წელს და უკრაინაში 2014 წელს მოსკოვის მიერ წარმოებული „ჰიბრიდული ომის“ მარცხად შეიძლება განვიხილოთ. იგივე შეიძლება ითქვას 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციაზე, რომელსაც იგი „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ ეძახის. თუმცა ამ შემთხვევაში რუსეთმა სრულიად საპირისპირო ეფექტი მიიღო, ვიდრე ამას წარმოიდგენდა, მათ შორის, დასავლეთის კონსოლიდირებული პასუხის სახით. უკრაინაში კონვენციური ომის პარალელურად, რომელიც თავისთავად ჰიბრიდულ ელემენტებსაც შეიცავს, რუსეთმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალა „ჰიბრიდული ომი“ მის სამეზობლოსა და დასავლეთის ქვეყნებში.

2022 წლამდე რუსეთი შედარებით წარმატებული იყო საკუთარი მიზნის მიღწევის გზაზე, რასაც ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: პირველი – რუსეთს, მისი საბჭოთა მემკვიდრეობის გათვალისწინებით, სამიზნე სახელმწიფოების წინააღმდეგ არასამხედრო საშუალებების გამოყენების დიდი ტრადიცია აქვს; მეორე – დასავლურმა საზოგადოებამ არ მოახდინა სათანადო რეაგირება მის ქმედებებზე.

რუსეთის „ჰიბრიდული“ აქტივობების უმრავლესობის ფესვები შესაძლებელია საბჭოთა წარსულში მოიძებნოს. ამ შემთხვევაში მთავარი განსხვავება ის არის, რომ თუ საბჭოთა პერიოდში „ჰიბრიდულ“ აქტივობებს სპეცსამსახურების და კომუნისტური პარტიის ზოგიერთი უჭრედი გეგმავდა და სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერით იმართებოდა, თანამედროვე რუსეთის შემთხვევაში მასში არა მხოლოდ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ინსტიტუტია ჩართული, არამედ – რუსეთის კერძო, არასამთავრობო და მედია სექტორიც, იმ პირობებში, როცა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა წრე არის არაადეკვატურად მცირე.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია საგრძნობლად დასუსტდა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოს მსგავსი სახელმწიფოები მუდმივად უნდა აძლიერებდნენ საკუთარ მედეგობას, მით უფრო იმ პირობებში, როცა რუსული ჰიბრიდული ქმედებები არა თუ დაიკლებს, არამედ მისი სამხედრო პოტენციალის შემცირების პარალელურად, პირიქით, კიდევ უფრო გაიზრდება.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Agenda.ge, 'Putin offers alternative 'historic facts' on how Georgia 'occupied' Tskhinvali, Abkhazia regions', 2019, <https://agenda.ge/en/news/2019/1860>
- Agenda.ge, 'Economy Ministry: Kazakhstan plans to transport 2 to 3 mln tonnes of oil through Georgia in 2022', 2022, <https://agenda.ge/en/news/2022/1438>
- Azertac, 'Ursula von der Leyen: We will double supply of gas from Azerbaijan to European Union', *Azertac*, 2022, [https://azertag.az/en/xeber/Ursula\\_von\\_der\\_Leyen\\_We\\_will\\_double\\_supply\\_of\\_gas\\_from\\_Azerbaijan\\_to\\_European\\_Union-2219582](https://azertag.az/en/xeber/Ursula_von_der_Leyen_We_will_double_supply_of_gas_from_Azerbaijan_to_European_Union-2219582)
- Bilal, Arsalan, *NATO review*, 2021, <https://www.nato.int/docu/review/articles/2021/11/30/hybrid-warfare-new-threats-complexity-and-trust-as-the-antidote/index.html>
- Bartles, Charles K., *Getting Gerasimov Right*, Center for Strategic and International Studies, Military Review, 2016
- Bellingcat, 'How GRU Sabotage and Assassination Operations in Czechia and Bulgaria Sought to Undermine Ukraine', *Bellingcat*, 2021, <https://www.bellingcat.com/news/uk-and-europe/2021/04/26/how-gru-sabotage-and-assassination-operations-in-czechia-and-bulgaria-sought-to-undermine-ukraine/>
- Boulegue Mathieu & Polyakova Alina, 'The Evolution of Russian Hybrid Warfare: Executive Summary', *The Center for European Policy Analysis CEPA*, 2021, [https://cepa.org/the-evolution-of-russian-hybrid-warfare-introduction/#identifier\\_2\\_7492](https://cepa.org/the-evolution-of-russian-hybrid-warfare-introduction/#identifier_2_7492)
- Burkadze, Khatuna, 'Cyber attacks as a modern form of warfare', *Geocase*, 2020,
- Cantwell, Douglas, 'Hybrid Warfare: Aggression and Coercion in the Gray Zone', *American Society of International Law*, 2017, <https://www.asil.org/insights/volume/21/issue/14/hybrid-warfare-aggression-and-coercion-gray-zone>
- Chivvis, Christopher S., *Understanding Russian "Hybrid Warfare"*, RAND Corporation, 2017, <https://www.rand.org/pubs/testimonies/CT468.html>
- CNN, 'How Estonia wants to steer clear of Russian propaganda', *CNN*, 2022, <https://edition.cnn.com/2022/04/17/media/reliable-sources-estonia-russia/index.html>
- Colonel Hammes, Thomas X., *The Sling and the Stone: On War in the 21st Century*, Zenith Press, 2004
- Cramers, Paul Alexander & Caliskan, Murat, 'A Content Analysis on the Media Coverage of Hybrid Warfare Concept', *Horizon Insights*, 2018 .
- Danilova, Maria, 'Russia accused of trade war against Ukraine', *The Big Story Journal*, 2013, <https://web.archive.org/web/20131107054335/http://bigstory.ap.org/article/russia-accused-trade-war-against-ukraine>
- DeBenedictis, Kent, *Russian 'Hybrid Warfare' and the Annexation of Crimea*, The Modern Application of Soviet Political Warfare, 2022, I.B. TAURIS, Bloomsbury Publishing Plc
- Dugin, Aleksander, *Basics of Geopolitics: Russia's geopolitical future*, (Основы Геополитики: Геополитическое будущее России), Arktogea center, 1999
- Duncan, Andrew J., *New 'Hybrid War' or Old 'Dirty Tricks'? The Gerasimov Debate and Russia's Response to the Contemporary Operating Environment*, *Canadian Military Journal* • Vol. 17, No. 3, 2017
- Estonian Government, 'Estonian government decides to cease imports of Russian gas', *Estonian Government Web-site*, 2022, <https://www.valitsus.ee/en/news/estonian-government-decides-cess-imp-orts-russian-gas>
- Fox, Amos C., 'Russian Hybrid Warfare: A Framework', *ResearchGate*, 2021, [https://www.researchgate.net/publication/351462184\\_Russian\\_Hybrid\\_Warfare\\_A\\_Framework](https://www.researchgate.net/publication/351462184_Russian_Hybrid_Warfare_A_Framework)

- Galeotti, Mark, 'The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-Linear War', In *Moscow's Shadows*, 2014, <https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/>
- Galeotti, Mark, 'The Gerasimov Doctrine', *BERLIN POLICY JOURNAL*, 2020
- Gilder, Alexander, 'The abuse of "peacekeeping"', *West Point*, Lieber Institute, 2022, <https://lieber.westpoint.edu/abuse-of-peacekeeping/>
- Giles, Keir, *Handbook of Russian Information Warfare*, NATO Defense Collage, November 2016
- Gotsiridze, Andria, 'The cyber domain of the 2008 Russia-Georgia war', *GFSIS Georgian Foundation for Strategic and International Studies*, 2019, <https://gfsis.org.ge/ge/blog/view/970>
- Hoffman, Frank, *Conflict in 21st Century: The Rise of Hybrid Wars*, Potomac Institute for Policy Studies, Arlington, Virginia, 2007
- Hoffman, Frank, 'ON NOT-SO-NEW WARFARE: POLITICAL WARFARE VS HYBRID THREATS', *the war on the rocks*, 2014, <https://warontherocks.com/2014/07/on-not-so-new-warfare-political-warfare-vs-hybrid-threats/>
- Hoffman, Frank, 'Hybrid Threats: Neither omnipotent nor unbeatable', Foreign Policy Research Institute, 2010
- Huber, Thomas M., *Compound Warfare: That Fatal Knot*, Fort Leavenworth, Army Command and General Staff College Press, 2002, p.1.
- ICC, 'Situation in Ukraine: ICC judges issue arrest warrants against Vladimir Vladimirovich Putin and Maria Alekseyevna Lvova-Belova', *International Criminal Court*, 2023, <https://www.icc-cpi.int/news/situation-ukraine-icc-judges-issue-arrest-warrants-against-vladimir-vladimirovich-putin-and>
- ICC, 'Rome Statute of the International Criminal Court', *International Criminal Court*, 2011, <https://www.icc-cpi.int/sites/default/files/RS-Eng.pdf>
- Indans, Ivars, 'Relations of Russia and Georgia: Developments and Future Prospects', *Baltic Security and Defence Review*, 2007, [https://www.baltdefcol.org/files/docs/bdrev13/6\\_Ivars\\_Indans-Relations\\_of\\_Russia\\_and\\_Georgia.pdf](https://www.baltdefcol.org/files/docs/bdrev13/6_Ivars_Indans-Relations_of_Russia_and_Georgia.pdf)
- Independence (Damoukidebloba), 'Russian "peacekeepers" in 2008 August war', *damoukidebloba.ge*, 2015, [http://www.damoukidebloba.ge/c/news/rusi\\_samshvidoboebi\\_2008](http://www.damoukidebloba.ge/c/news/rusi_samshvidoboebi_2008)
- Kaszuba, Malina, *Georgia and Ukraine in the politics of the Kremlin*, Connections: The Quarterly Journal ISSN 1812-1101, e-ISSN 1812-2973, 2019
- Kilcullen, David, *The Accidental Guerrilla: Fighting Small Wars in the Midst of a Big One*, Oxford University Press, 2009
- Kofman, Michael, 'Russian Hybrid Warfare and Other Dark Arts', *Warontherocks*, 2016, <https://warontherocks.com/2016/03/russian-hybrid-warfare-and-other-dark-arts/>
- Kofman, B. M. & Rojansky M., 'A Closer look at Russia's "Hybrid War"', *Kennan Cable*, 2015, <https://www.wilsoncenter.org/publication/kennan-cable-no7-closer-look-russias-hybrid-war>
- Kokoshvili, David, 'Popularity and Mission of Russian TV Channels in Georgia', *netgazeti.ge*, 2016, <https://netgazeti.ge/life/104681/>
- Kunchulia, Lela, 'Georgia in 2008 and Ukraine in 2022 - similarities and differences', *RarioLiberty*, 2022, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31710489.html>
- Kurdadze, Dali & Kintsurashvili, Tamar, 'RUSSIAN PROPAGANDA DURING AND AFTER THE AUGUST 2008 WAR', *Mythdetector*, 2018, <https://mythdetector.ge/en/russian-propaganda-during-and-after-the-august-2008-war/>
- Jaitner-Levin, Margarita, *Russian Information Warfare: Lessons from Ukraine*, Chapter 10 in Kenneth Geers Ed., *Cyber War in Perspective: Russian Aggression against Ukraine*, NATO CCD COE Publications, Tallinn, 2015
- Livny, Eric, *Impact of Russian Sanctions on the Georgian Economy*, 2010, Tbilisi, Georgia

- Maas, J. (2017). Hybrid Threat and CSDP. In J. Rehr (Ed.), *Handbook on CSDP- The Common Security and Defence Policy of the European Union* (pp. 125–130). Federal Ministry of Defence and Sports of the Republic of Austria.
- Markoff, John, 'Before the Gunfire, Cyberattacks', *The New York Times*, 2008
- Mastalski, Michael C., 'Russia's Implementation of Hybrid Warfare: Estonia '07 , Georgia '08 , Crimea '14', *Air University Online Journal*, 2021, <https://www.airuniversity.af.edu/Wild-Blue-Yonder/Articles/Article-Display/Article/2582363/russias-implementation-of-hybrid-warfare-estonia-07-georgia-08-crimea-14/>
- Mazurenko, Alena, 'Following the ORDO: the leader of the ORLO also announced the evacuation to Russia', *Ukrainskaya Pravda*, 18 February 2022, <https://www.pravda.com.ua/rus/news/2022/02/18/7324505/>
- Mendoza, Jordan, 'Who is Viktor Yushchenko? What you need to know about the former Ukrainian president', *USA TODAY*, 2022, <https://www.usatoday.com/story/news/politics/2022/03/01/viktor-yushchenko-former-ukrainian-president-poison/9333605002/>
- Messner E., *If you want peace, win subversion-war! The creative heritage of E. Messner*, Voenennyi Universitet, Russian Military University Journal, 21st edition, Messner, Выпуск 21. Хочешь мира, победи мятежевойну!: Творческое наследие Е.Э.Месснера, Русский путь / Военный университет, 2005
- Monaghan, Andrew, *The 'War' in Russia's 'Hybrid Warfare'*, US Army War College Press, 2015
- Murphy, Martin, 'Understanding Russia's Concept for Total War in Europe', *The Heritage Foundation*, 2016, [https://www.heritage.org/defense/report/understanding-russias-concept-total-war-europe#\\_ftn16](https://www.heritage.org/defense/report/understanding-russias-concept-total-war-europe#_ftn16)
- NATO 2022 Strategic Concept, 2022, Adopted by Heads of State and Government at the NATO Summit in Madrid 29 June 2022
- NATO, Brussels Summit Communiqué, 14 June 2021, Brussels
- NATO, Wales Summit Declaration, 05 September 2014, Wales
- NATO StratCom Centre of Excellence, Report - *ANALYSIS OF RUSSIA'S INFORMATION CAMPAIGN AGAINST UKRAINE*, Examining non-military aspects of the crisis in Ukraine from a strategic communications perspective, 2015
- Nazarenko, Taras, 'Russian seizure of Georgian pipeline has dangerous implications', *Euractiv*, 2015, <https://www.euractiv.com/section/energy/opinion/russian-seizure-of-georgian-pipeline-has-dangerous-implications/>
- Nelson, Chace A., 'Putin's Playbook: #Reviewing Dugin's Foundations of Geopolitics', *thestrategybridge.org*, 2020, <https://thestrategybridge.org/the-bridge/2020/5/28/putins-playbook-reviewing-dugins-foundations-of-geopolitics>
- Osborn, Andrew & Antonov, Dmitry, 'Putin orders troops to Ukraine after recognizing breakaway regions', *REUTERS*, <https://www.reuters.com/markets/europe/kremlin-says-no-concrete-plans-summit-with-biden-over-ukraine-2022-02-21/>
- Oxford Learner's Dictionary, [https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/hybrid\\_1?q=hybrid](https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/hybrid_1?q=hybrid), accessed in 2022
- Paul, Christopher & Matthews, Miriam, 'The Russian "Firehose of Falsehood" Propaganda Model Why It Might Work and Options to Counter It', *RAND Corporation*, 2016, <https://www.rand.org/pubs/perspectives/PE198.html>
- <https://www.rand.org/pubs/perspectives/PE198.html>
- Peuch, Jean-Christophe, 'Georgia: Tbilisi Says Russian Officers Behind Gori Bombing', 2005, *RadioLiberty*, <https://www.rferl.org/a/1060186.html> Professor Struye de Swielande, Tanguy, Lecture on Geopolitics, ULB - Brussels, 2021
- President of Russia, Kremlin.ru, 2021, <http://en.kremlin.ru/events/president/news/66181>
- Puyvelde, D. Van, 'Hybrid war – does it even exist?' *NATO Review*, 2015, <https://www.nato.int/docu/review/articles/2015/05/07/hybrid-war-does-it-even-exist/index.html>



- Qiao Liang & Wang Xiangsui, *Unrestricted Warfare*, Beijing: PLA Literature and Arts Publishing House, 1999
- Radiotavisupleba, “რუსეთის ფედერაციამ საქართველოსთან საავიაციო, სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლა აკრძალა”, *ხაიო თავისუფლება*, 2006, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1548987.html>
- RBC, ‘Pushilin announced the beginning of the mass evacuation of the population of the DNR to Russia’, *rbcr.ru*, 18 February 2022, <https://www.rbc.ru/s/18/02/2022/620f9ac29a79478c79ac6dfa?fbclid=IwAR3anNza84uF1ApeBsaKXAVilswfETKyonbTywmRYa65v75JL9l16iHIQg>
- Seely, Robert William Henry, *A Definition of Contemporary Russian Conflict: How Does the Kremlin Wage War*, The Henry Jackson Society, 2018
- Schreck, Carl, ‘Odesa Doctor Or Random Dentist? Claims Of Atrocities, Anti-Semitism Face Scrutiny’, 2014, *RadioLiberty*, <https://www.rferl.org/a/ukraine-unspun-odesa-doctor-dentist-false-claim/25372684.html>
- Stoicescu, Kalev, ‘RUSSIA’S NON-CONVENTIONAL HYBRID WARFARE AGAINST ESTONIA’, *Center for European Policy Analysis*, 2021, <https://cepa.org/the-evolution-of-russian-hybrid-warfare-estonia/>
- Tangiashvili, Nodar, ‘Kremlin’s Information War: Why Georgia Should Develop State Policy on Countering Propaganda’, *IDFI – Institute for Development of Freedom of Information*, 2016
- Vision of Humanity, ‘Information and Misinformation in the Russia Ukraine war’, 2022, *Vision of Humanity*, <https://www.visionofhumanity.org/information-and-misinformation-in-the-russia-ukraine-war/>
- Wither K., James, ‘Defining Hybrid Warfare’, *perConcordiam, Journal of European Security and Defense Issues*, 2019, <https://perconcordiam.com/defining-hybrid-warfare/>
- Worcester, Maxim, ‘Putin’s Proxy Warfare Strategy’, *ISPSW Strategy Series: Focus on Defense and International Security*, Issue No. 282 Aug 2014
- Zaremba, Kateryna & Solodkyy, Sergiy, ‘The Evolution of Russian Hybrid Warfare: Ukraine’, *Center for European Policy Analysis*, 2021, <https://cepa.org/the-evolution-of-russian-hybrid-warfare-ukraine/>

## შენიშვნები

1. კონვენციური და არაკონვენციური შესაძლებლობების შერწყმა და მრავალგანზომილებიანი სივრცეში ომის წარმოება, ისევე, როგორც სხვა იდეები ჰომანმა შემდეგი თეორიებიდან გამოიყენა: „შუბლუდავი ომის“ (Unrestricted Warfare) თეორია (Qiao & Wang 1999), „მე-4 თაობის ომის“ (4<sup>th</sup> Generation Warfare) თეორია (Hammes 2004), „მრავალკომპონენტური/რთული ომის“ (Compound Warfare) თეორია (Huber 2002).
2. სწორედ ამით განსხვავდება ის „მე-4 თაობის ომის“ თეორიისგან.
3. იგულისხმება პუტინის ცნობილი განცხადება 2005 წელს, მისი ყოველწლიური მიმართვისას, რომ „საბჭოთა კავშირის დაშლა იყო მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“, რამაც გამოიწვია „ისტორიული რუსეთის დაშლა“. ასევე პუტინის ცნობილი გამოსვლა 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელშიც მან დასავლეთი დაადანაშაულა ერთპიროვნულ მმართველობასა და უსამართლო მეთოდების გამოყენებაში.
4. „როდესაც ვიყენებდი ტერმინს „გერასიმოვის დოქტრინა“, მე უბრალოდ თვალშისაცემი სათაურის მოფიქრება მინდოდა. ეს უფრო მეტად არის დაკვირვება 21-ე საუკუნის ომების კონკრეტულ ასპექტებზე; რა თქმა უნდა, არ არსებობს საფუძველი, რომ მას ომის რუსული გზა ვუწოდოთ. ასე რომ, შეწყვიტეთ, გთხოვთ!“ - წერს გალეოტი.